



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 0 23 0000079806



25/01/2023

„შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 21 ნოემბერის №210 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის აკრედიტაციის დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 21 ნოემბერის №210 გადაწყვეტილების დანართი №1-ის პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ბიზნესის ადმინისტრირება- ფინანსები
1. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 25 იანვრის №79797 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
2. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ 2 საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

საგანმანათლებლო 1 დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. No2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით

